…ტამბა და რედაქცია
…ფილისი, სასახლის ქ.,
…თ.-აზნაურო ქარვასლა
…ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
…მიმართოვენ რედაქციის დილის
…-3 საათამდე და საღამოს 6—7
„…ჭ. ქ. საზ.“ წიგნის მაღაზიის.
…-მოუწერავ წერილებს რე-
…დაქცია არ ბეჭდავს.
…ირ-პირ მოლაპარაკება რედაქ-
…ციასთან შეიძლება ყოველდღე.
…ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
…ифлисъ, Дворцовая ул. …д
Дворянства.
Телефонъ № 363



## 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე“
ფასი წლიურად **6** მან., ნახევარის წლით **4** მან., ერთის თვით **60** კაპ.



## ქართული თეატრი
ხუთშაბათს, **28** იანვარს
…ბენეფისი ს. პ. სვიმონიძისა
…რთულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან, ქ-ნ ე. ს. მეს-…ხის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება
ახალი პიესა:
## კონსტანტინე ბაგრატიონიშვილი
ისტორიული დრამა 5 მოქ. თხზ. ა. ყაზბეგისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი.**

…ვსთხოვთ ჩვენი „კედლის კალენ-…ის“ გამყიდველებს, რომ უკეთუ …მეს დარჩა გაუყიდველი და ამა …იარშიც დარჩებათ გაუყიდვე-… ფიქრობენ, დაუყოვნებლად გა-…ვიგზავნონ, რომელიმე ჩვენს …აზიებში.
…მ. თავართქილაძეები. (10—7)

## …ვისრულობ
…ხე-ტყის განიხვრას, ვადაზე ვას-…ლებ საჩქარო საქმეს, რაც შე-…ლება, მალე ვშოულობ სესხს …გორც სასოფლო მეურნეობი-…ვის, ისე ხე-ტყით სარგებლო-…ათვის.
…ადრესი: ტფილისი, ალექსი გრი-…რის მე სნეჟნიკოვი, ლაბორა-…რის ქუჩა სახლი № 26, ტე-…ფონი 567.

…მოვიდა და ისყიდება ყველგან
## …მხანაგი“
…ების წიგნი და კალენდარი
ფასი 25 კაპ.
…ვინც დაიბარებს არა ნაკლებ …ს ცალისა, ნაღდ ფულზე დაე-…მბათ თითო აბაზათ. ადრესი: …ирилы, Ивану Ардишвили.

გამოვიდა გასასყიდად
ცხოვრება
ღირსისა და მოციქულთა სწორისა წმ. ნინო ქართველთ განმანათლებლისა
გამოცემა მორჩილის **რაჟდენ ბა-რამამისა.**
სურათით, წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს
**ერთი შაური.** (10—4)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-გო, თვალისა და დედათა ავადმყო-ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-თამდე. შინაგან და ნერვების ავად-მყოფობას სწამლობს **ს. ზ. თო-ფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ა. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ძოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-ბის და აკუშერობის D-r **ф. ბა-ცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ზ. თო-ფურია.**
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ


# ახალი ამბავი

—

*** მ. ჯანაშვილის და მღ. ვ. კარბელაშვილის არჩევა წევრებად საარხეოლოგიო საზოგადოებაში. ამ თვის 13 მოსკოვში ჩვენს ახალ-გაზდა პროფესორს ბ-ნ ალექსანდ-რე ხახანაშვილს წაუკითხავს საარ-ხეოლოგიო საზოგადოებაში მოხ-სენება შესახებ მოღვაწეობისა ამ საზოგადოების სასარგებლოდ ჩვე-ნის ისტორიკოსის მოსე ჯანაშვი-ლის და მღვდელ ვასილ კარბელა-შვილზე და წინადადება შეუტანია, რომ ორივე მოღვაწენი საზოგა-დოებას აერჩია კორესპოდენტ წევ-რებად. საზოგადოებას შეუწყნარე-ბია ეს წინადადება და ორნივე აურჩევია წევრებად.

*** მთავარმართებლის გამგზავ-რება. გუშინ საღამოთი კავკასიის მთავარ მართებელი გენ. ად. თავ. გ. ს. გალიცინი ქ. პეტერბურგში გაემგზავრა.

*** ჯარში გაწვეულთა რიცხვი. ქალაქის მოურავის მიერ გუბერ-ნატორთან წარდგენილ სიიდგანა სჩანს, რომ 1898 წელს ტფილი-სელ ახალგაზდათა შორის ჯარში გაწვეულ იქმნენ: 31 რუსი, 3 პა-ლონიელი, 1 გერმანიელი, 20 ქარ-თველი, 41 სომეხი, 6 ებრაელი და ორი მაჰმადიანი, სულ 104 კაცი.

*** სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობის შეწყნარება. 25 იანვარს, ქალაქის საბჭომ შეიწყ-ნარა კავკასიის სამეურნეო საზო-გადოების შუამდგომლობა და დაუ-თმო მას ალექსანდრეს ბაღში ად-გილი 9 არშინი სიგანით და 32 არშინი სიგრძით, რომლითაც უნ-და ისარგებლოს ხსენებულმა სა-ზოგადოებამ ექვსის წლის ვადით.

*** ნატარიუსის გრიელსკის სა-ქმე. 23 მარტისთვის დანიშნულია განსახილველად, ტფილისის სასა-მართლო პალატაში სააპელაციო წესით ბათომის ნატარიუსის ბ-ნ გრიელსკის საქმე, რომელსაც ბრალ-დება ის, რომ მან თავის მოხსენე-ბაში ქუთაისის ოლქის სასამართ-ლოს თავმჯდომარეს მიმართ შეუ-რაცხმყო ზოგიერთი სიტყვებით ბათომის გამომძიებელი თავ. ა. მ. ლორთქიფანიძე. ამ დანაშაულო-ბისათვის ოლქის სასამართლომ მას უკვე მიუსაჯა სამის თვით და-პატიმრება.

*** რიყის მცხოვრებთა შუამ-დგომლობა. არხების გამყვანმა კო-მისიამ დაადგინა გადასცა ქალაქის მოურავს რიყის მცხოვრებთა შუა-მდგომლობა რიყის ქუჩაზე არხე-ბის გაყვანის შესახებ.

*** სასამართლოს სესიები. ტფი-ლისის ოლქის სასამართლოს სი-სხლის სამართლის დროებითი გან-ყოფილებათა სესიები დანიშნულია: 1—განყოფილებისა ქ. გორში 8-დან 16 მარტამდე; ქ. ახალქალაქსა და ახალციხეში 18 მარტიდან 3 აპ-რილამდე; მე-2 განყოფილებისა— სოფ. თიონეთში, 8-დან 20 მარ-ტამდე და ქ. თელავში 29 მარ-ტიდან 10 აპრილამდე.

— ტფილისის ოლქის სასამართ-ლოს მე-2 სექალაქო განყოფილე-ბის სესიები დანიშნულია: ქ. სიღ-ნაღში—23-დან 29 მარტამდე და

ქ. დუშეთში—22-დან 31 მაისამდე.

*** **დაბა სოჭის მოვაჭრეთა თხოვნა.** დაბა სოჭის (შავის ზღვის პირის გუბერ.). მოვაჭრეებმა თხოვნა მიართვეს უმაღლეს მთავრობას, რომ კვირა-უქმე დღეებში ნება მიეცეს ვაჭრობასა.

*** **თანხის განაწილება.** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ასე გაანაწილა ის თანხა, რომელიც მოუსავლობით დაზარალებულ სოფლის მცხოვრებთა სასარგებლოდ იქმნა შეკრებილი 1898 წელს და რომელიც დღემდის არ დაურიგებიათ: დუშეთის მაზრას—200 მ., ზანგეზურის მაზ.—200 მ., ბორჩალოს მაზ.—200 მ., გეოგჩაის მაზ. 100 მ., სიღ. მაზ.—100 მ., ახალბაიაზეთის მაზ.—100 მ., ყაზახის, თიონეთისა და გორის მაზრებს—თითოს 50 მან.

*** **ცხენის რკინის გზის საქმე.** ცხენის რკინის გზის დირექტორმა რობიმ მიჰმართა ინჟინერს ბლანშოს და სთხოვა გამოეკვლია, რა წესითა და რიგით შეიძლება ისარგებლოს კაცმა მტკვრის ძალით, რომ ელექტრონის მანქანები გაიმართოს ცხენის რკინის გზისათვის. ბლანშომ უკვე წარუდგინა რობის პროექტი. პროექტში მოხსენებულია, რომ თამამშევის წისქვილის მახლობლად, ორთაჭალაში უნდა გაკეთდეს კლდეში 1 ვერსის სიგრძეზე გვირაბი, მტკვარი ამ გვირაბში გაივლის და შემდეგ ისეთი ძალა ექმნება, რომ რკინის გზის ვაგონებისთვისაცა და ქუჩების განათებისათვისაც საკმაო იქმნება. ამ საქმისათვის საჭიროა 500,000 მ.

რობი სწერს ქალაქის გამგეობას, რომ ამ ხარჯს ჩვენ ვიკისრებთ, ხოლო იმ პირობით, რომ კიდევ ხუთის წლის ვადით რკინის გზა ჩვენ ხელში იყოსო, ე. ი. ქალაქის მმართველობას შეეძლება რკინის გზა 15 წლის შემდეგ კი არ შეისყიდოს, როგორც აქამდე უნდა ყოფილიყო, არამედ 20 წლის შემდეგ.

*** **უქმად იღუპება სოფელი!** აგერ რამდენი ხანია ს. კავთისხევში სახადი მძვინვარებს და ისე დღე არ გავა სამი და ოთხი არ გაისტუმროს საიქიოსკენ. ამ დღეებში გარდაეცვალა ერთ საწყალ ღარიბ აზნაურის გედევან ლუხუნიშვილის შვილი, გარდაიცვალა თვითონ და მისი ცოლიც ამ ჟამად სულთმობრძავი ძევს უპატრონოდ. არა ეშველარა და ვერ მოისაზრეს აქაურმა მოხელეებმა, რომ მოახსენონ მთავრობას საბრალო კავთისხეველების გაჭირვებული მდგომარეობა!..

*** **ქალაქის მოურავისა და თავ. არღუთინსკის საქმე.** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქალაქის გამგეობამ დაადგინა იმ უთანხმოების გარჩევა, რომელიც ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვსა და გამგეობის წევრის თ. ა. მ. არღუთინსკის შორის მოხდა, მიანდოს სამედიატორო სასამართლოს. ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა ქაღალდი შეიტანა, რომელშიაც აცხადებს, რომ ეგ საქმე სამედიატორო სასამართლომ კი არა, მხოლოდ საბჭომ უნდა განიხილოსო.

*** **ახალი ამხანაგობა.** როგორც ისმის, ქუთაისში არსდება ახალი ამხანაგობა, რომელსაც აზრად ექნება ქუთაისის გუბერნიის მთამადნების წარმოება. ამხანაგობა აარსებს ქუთაისში ლაბორატორიას.

*** **ფრენკელის რეფერატი ქართული კანონების შესახებ.** 30 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრებაზედ ა. ს. ფრენკელი წაიკითხავს რეფერატს; „ქართული კანონები ავაზაკობისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ მეფე ვახტანგ მეVI კანონთა კრებულში“. შინაარსი ამ რეფერატისა შემდეგია:

თავი 1. ქართულის კანონებით როგორ სჯიდნენ დანაშაულობისათვის საზოგადოთ და კერძოდ ქურდობისა და ავაზაკობისათვის.

თავი 2 მოსეს, ბერძნული და სომხური კანონები ქურდობა-ავაზაკობის წინააღმდეგ მეფე ვახტანგ მეVI-ს კრებულისამებრ.

თივა 3. სათაბაგოს გამგეთ ბექასი და აღბუღას კანონები ქურდობა-ავაზაკობის წინააღმდეგ.

თავი 4. კათალიკოსთა კანონები ქურდობა-ავაზაკობის წინააღმდეგ. საკუთრად მეფე ვახტანგ მე-VI-ს მიერ გამოცემული კანონები ქურდობა-ავაზაკობის წინააღმდეგ.

თავი 5. სამხედრო კანონები ერეკლე II (თეიმურაზის ძისა).

თავი 6. პასუხის-მგებლობა ყველა მცხოვრებელთა დამნაშავეთა მოუძებნელობისათვის.—პასუხის-მგებლობა იმა ი, ვინც ქურდობა ავაზაკობის წინააღმდეგ არ გაუწევს სხვას დახმარებას.

თავი 7. ძმად გაფიცვა და მფარველობა ავაზაკობისა, თავ-დასხმისა და ძალ-მომრეობის დასაცველად.

თავი 8. განსაკუთრებული თვისებანი ქართულის კანონებისა ქურდობა ავაზაკობის წინააღმდეგ. თან-დათან შემცირება დანაშაულობათა უკმეხობის ქართველ ხალხში.

*** **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნი: „ბენია“ ანუ ქართველ მეფეების ხუმარა. შეკრებილი 1876 წ. ზ. ჭ—სა და გამოცემა ალ. ბაქრაძისა. წიგნს I № აქვს აღნიშნული, ალბათ გამომცემლის აზრათ აქვს სხვებიც გამოსცეს. წიგნში მოთავსებულია 30-მდე ძველებური გარდმოცემანი. ზოგი გარდმოცემა არ არის მნიშვნელობას მოკლებული, ზოგი დროთა მიმდინარეობის მეოხებით გადასხვაფერებულა, შემოკლებულა, ზოგი დამახინჯებულა კიდეც. წიგნის პირველ გვერდზე მოყვანილია ერთი პატარა ტაეპი, სახალხო გარდმოცემა, რომელსაც ბენიას თქმულებით ამბობენ:

„ბენიამ სთქვა:—თხა არა ვარ,
გაზაფხულზე გავიკრიჭო.
ეს სოფელი მისთვის მინდა
გავიცინო, გავიღრიჭო“.

ბენოს შესახებ ჩვენ ვიტყვით მცირე რამეს, რადგანაც შეიძლება, ეს ბევრმა ჩვენში დღეს აღარც კი იცის. ბენები ყოველთვის ქართველთ მეფეებს გარს ახლდნენ, იგინი განუწყვეტლივ მეფის მხლებლათ სცხოვრებდნენ, იგინი იყვნენ მეფის თანამოზიარენი ყველა საქმეში, ლხინში, მწუხარებაში, ჭირში, სამართალში და თვით საიდუმლო დუმილშიაც-კი.

იგინი ითვლებოდენ მეფეების ვითომც-და მაღხინებელ-მასხარათ, მაგრამ ამაოდ, იგინი მასხარა-კი არა და უმაგალითო ბრძენ იყვნენ სხვა-და-სხვა გამოთქმაში, სიბრძნით სავსე ნაკვესებში, ანეგდოტებში, ზღაპრებში. მეფის ერეკლის დროს ბენიათ იყო ბესტამაშვილი და „კალმასობის“ თქმით ოთარიკა ნორიელი.

წიგნი შეიცავს 48 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად და ღირს ორი შაური.

*** **ქუთაისი.** ქ-ნი ივანიძის ბენეფისი. ჩვენმა დრამატიულმა დასმა უკვე რამდენიმე არტისტების ბენეფისი გაიმართა კიდეც. ამ ხანად დანიშნულია ბენეფისი ქ-ნი ივანიძისა, რომელიც ერთგულად და მუყაითად ემსახურება ქართულ თეატრს აგერ რვა თუ ცხრა წელიწადია, შეადგენს ერთს უსაჭიროესს ძალას ჩვენს დასში. ბენეფისი დანიშნული აქვს თებერვლის ორსა.

*** **ს. ალი** (ქართლი). **ნაშხარის სულით მკვდარი.** ს. ალში მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი, რომელმაც მთელი სოფელი დიდათ დაალონა. ამ თვის ჩვიდმეტს ახალ შებინდებულზე, ალის მამასახლისის თანაშემწე პავლე ნოზაძე, შევიდა ამავე სოფლის ოქრომჭედლის ალექსი ხეთაგურის დუქანში. ოქრომჭედელიც, რომელსაც მჭადი და ორი ჩარექა ოსური არაყი ჰქონდა, გაუმასპინძლდა სტუმარს. რადგან დუქანში სიც...
იყო, მაყალზედ ნახშირი დაღვ...
ბინათ კარები მიეხურად, მაყ...
თან პატარ-პატარა ქვები მიეღ...
და ორივე გარს შემოსხდომოდნ...
თან ვახშამს შეექცეოდნენ და...
ხელებს და ლოყებს ითბობდნ...
თურმე, ეს ორი ჩარექა არაყ...
გამოცალეს და ნახშირის სუნ...
გამო იქავ მაყალთან გადაწო...
ლიყვნენ... გათენდა ორშაბ...
დილა და სანამ ხალხი აიშლებ...
და, მთელს სოფელს მოედო ხ...
„პოპოშნიკი“ ნახშირის სუნს მო...
კლავს. რასაკვირველია, ყველა ...
დი და პატარა, ოქრომჭედლ...
დუქნისკენ გაიქცნენ სინამდვილ...
გასაგებათ, მათ შორის თვით „პ...
პოშნიკის“ ცოლიც. ხალხი მო...
როვდა, შევიდნენ დუქანში, ნახ...
ორივ მაყალთან უგონოთ. ბევ...
აწვალეს, მაგრამ მამასახლისის თ...
ნაშემწეს თქვენი ჭირი წაეღო ...
ოქრომჭედელს კი ცოტათ სუნ...
ქვა შეამჩნიეს ზომები მიიღეს ...
როგორც იქმნა გადაარჩინეს სი...
დილს. განსვენებული თანაშ...
45 წლის კაცი იყო, მეტის-მე...
ღარიბი, დღიური მუშაობით გამ...
დიოდა, ბევრჯელ იმის შინ ...
მყოფობის და ან ავათ მყოფობ...
დროს, ცოლ-შვილი სამი დღ...
პურ უჭმელნი ყოფილან. მა...
წვრილი ცოლ-შვილის ცხოვრ...
დღეს შემდეგ დიდ განსაცდელ...
იქმნება.

მედავითნე სერგო.

*** **ქუთაისი.** † ქნ. დარია ფა...
გა. შემაძრწუნებელია და რაო...
თავ-ზარ დამცემი სიტყვა სიკვ...
ლი! „ვერ დაიჭირავს სიკვდილ...
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...
ოლონდაც, რომ სიკვდილსა ვე...
დაიჭერავს რა! ვისიც კარს ...
დააკაკუნებს—ერი იქნება თუ ...
რი, ბრწყინვალე თავადი თუ ...
ნძებში გახვეული გლეხი, შავ-ბ...
ლით შემოსავს იქაურობას. აი ...
დევ გუშინ წინაც გადაათარა ...
დაუნდობელმა სტუმარმა თავ...
მელქისედეგ ფალავას ოჯახს მწ...
რის ზეწარი და დღეს იგი ...
დასტირის თავის საყვარელ მე...
ლეს დარიას!..

გუშინ სიცოცხლით სავსე ...
დილოსანი, კეთილი დედა, საზ...
გადო საქმისათვის გულ-შემატ...
ვარი ადამიანი დღეს სიკვდი...
თავის პირ-ბადე გადაუფარებია ...
გარს გულ-სულავად ქვითინებ...
თავის საყვარელნი წვრილ-შვილ...
დარია ფალავა გახლდათ ალზ...
ლი თავის მშობლების ოჯახ...
მშობლიურ ანა-ბანაზე. ვის ...
ახსოვს იმისი ტკბილი ქართულ...
როცა იგი საჯაროდ სიტყვას ...
რმოსთქვამდა ხოლმე. იმის ქარ...
ლში ისმოდა ცოდნა სამშობლ...
ლიტერატურისა, იმ ლიტერატ...

...ს, რომელთანაც ბევრი, ვითომ ...ნათლებული, შორსა დგას და ...ც იმითი მოსწონს ხოლმე. ...ალო ყოველივე საზოგადო ...ლენას გაფაციცებით ადევნებდა ...ყურს. ყოველივე კეთილი ...ის ქვეყნის ახარებდა საცოდავს ...ა ცუდი კი გულს უთუთქავდა.

მშვიდობით პატიოსანო დედავ! მშვიდობით გულ-შემატკივარო ქართველო მანდილოსანო! საუკუნოთ იყოს ხსენება შენი!

ნიკო ბადრიძე

## ქართველები ციმბირში *)

ქართველებს ერთმანეთში ძალიან კარგი განყოფილება აქვთ. ის ...ური, ღალატი, მტრობა, გაუტანლობა, რომელთაც საქართველოში დაუბუდნიათ, აქ ქართველებს არ მოჰყოლიათ; ისე ექცევიან ერთმანეთს, როგორც გულითადი მეგობრები და მოსიყვარულე ძმები, გაჭირვებაში ხელს ...მართავენ, რჩევა დარიგებას აძლევენ. სადაც კი რამდენიმე ქართველია, იმ ქალაქში ერთი ვინმე ...ვთ ამორჩეული და თუ ვინმეს ...უნდა ქართველთაგანს ამ ქალაქში მოსვლა შეუძლია ამასთან მო...ს დროებით ბინა იქონიოს და ...ჭირო ცნობები მისგანვე შეიტყოს. ტომსკში ამისთანა პირი გ. ...ყელია, ტუმენში ს. ორჯონიძე.

ციმბირში, როგორც ვუწყით, ქართველები სასჯელის მოსახდელათ არიან გამოგზავნილები. ზოგს ...ანს, სამწუხაროდ, ხელმეორედ ...ენია დანაშაული, რისათვი...ც ის ხელახლა გაუსამართლებიათ ...ა უფრო დიდი სასჯელი მიუსაჯიათ. მაგ. ვინმე ჯ—ძეს, რამდენჯერმე ჩაუდენია ბოროტება, მაგ... თავი დაუხწევია, მხოლოდ ბოლოს უფრო შემაძრწუნებელი და ...ცხვინო დანაშაული ჩაუდენია, რისათვისაც მისთვის კატორღაში მუშაობა გადაუწყვეტიათ.

ქართველებს მეტ სახელს „ჩერქეზებს“ ეძახის მდაბალი ხალხი და ...კი მათის შეხედულობით სიმ...ლია სიბოროტის და ანცობისა. ...ალი და საშუალო საზოგადოება კი ქართველებზე კარგი შეხედულობისაა და მაღლაც აყენებს ...თ.

ზოგი ქართველი ტომსკში მცხოვრებელი სიამოვნებით კითხულობენ ქართულ ჟურნალ გაზეთებს, ...ებიც აქაურ სტუდენტებს ...ის და მათაც მიაქვთ.

მატერიალურად დაკმაყოფილებული ტომსკში მცხოვრებელი ქართველები წარმოდგენებსაც ხში... ესწრობიან.

მ. ლიხელი

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 734.

## წმ. მოწამე არჩილი, საქართველოს მეფე

საქართველოში ქრისტიანობის მიმართ სიყვარული იმ ზომამდის განვითარებული და გაძლიერებული იყო, რომ თითოეული ქართველი, მეფე და მისი ქვეშევრდომი, თავადი და გლეხი, კაცი და ქალი, დიდი და მცირე მზად იყო თავი გაეწირა სახარების სწავლის დასაცველად... ეს გარემოება იმ აზრს ამტკიცებს, რომ ძველ ქართველებს ჰქონდათ მტკიცე ხასიათი, შეურყეველი ნება, სალ კლდესავით მაგარი გული, და ასეთი ხასიათით, ნებით და გულით შემკულს ქრისტიანს არასოდეს ეშინია სიკვდილისა, ის საამქვეყნო ცხოვრებას არაფრად აგდებს, არ ულოლავებს ამ ცხოვრებას, არ ცახცახებს მისთვის, არამედ ეს ცხოვრება მიაჩნია საუკუნო ცხოვრებაში მიმყვანს გზად... ეს სოფელი მას მიაჩნია ტყვეობის ქვეყნად, გლოვისა და ტირილის ღელედ და ის მუდამ ელტვის ზეციურ იერუსალიმს, საუკუნო ცხოვრებას, სამუდამო ბედნიერებას. ის ამ სიცოცხლეში ეძიებს უპირველეს ყოვლისა „სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა“... იმით იყო ბედნიერი საქართველოს ეკკლესია, რომ მისს ძეებს თავი არ ეზოგებოდათ იესოს სწავლისათვის; აქ ერთი მეორეს წინაუსწრობდა გმირობასა და თავდადებაში სჯულის დასაცველად. ამით აიხსნება ის გარემოებ, რომ საქართველოს ეკკლესიას შეამკობენ, ვით თაიგულები, წმიდა მოწამეები სარწმუნოებისთვის... საქართველოს ეკკლესიის სასულიერო მწერლები შენატრიან მათს მოღვაწეობასა, აქებენ მათს აღსასრულსა და ადიდებენ მათს უკვდავ სახელსა... ისინი სთვლიან ნეტარად იმ მიწას, რომელიც მორწყულ იქმნა მათის სისხლითა და იმ საფლავებს, რომელთაც შეიწყნარეს მათი გვამები; ისინი უწოდებენ მათ ციური ბაღის ვარდებს, რომელნიც ფშვიან სურნელებასა ყოველთა კიდეთა. საქართველოს ეკკლესია არ ივიწყებს თავის ერთგულ ძეების დაუფასებელს ღვაწლს, ის მუდამ თვისს კალთას აფარებს მათს წმიდა ნაშთებს და თვისს წიაღში განუსვენებს იმათს კურთხეულ ძვლებსა. გავიდა ოთხას სამოც წელიწადზე მეტი საქართველოში იესოს სწავლის დამყარებიდამ, რომ საქართველოს გამოუბრწყინდა დიდებული მოწამე, მეფე-მოწამე, მოკლული არაბთაგან იესოს სწავლისთვის. ეს მოწამე წმ. არჩილ მეფეა, რომლის ერთად-ერთი სურვილი იყო თვისი სიცოცხლე შეეწირა იესოს სწავლის გამტკიცების საქმისთვის... წარმოიდგინეთ დიდებული გვარის ჩამომავალი მეფე, მდიდარი, ოჯახობაში ბედნიერი, ახოვანი, ჯანსაღი, რომლის წინ ქედ-იდრეკს აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველო, მთიულეთი და სხვანი მრავალნი, ის მეფეა მბრძანებელი, რომლის ხელთ არის სვე-ბედი მთელის ერისა, ხელთ უპყრია კვერთხი და თავს ხურავს გვირგვინი, ვითა ნიშანი მეფობისა... მას მოელის ფუფუნება, განცხრომა, მხიარულება, სიამოვნება, მოელის პატივი, დიდება, სახელი, მაგრამ რას ვხედავთ? ვხედავთ, რომ ეს მეფე უარჰყოფს, ფუჭად სთვლის ყოველსავე ამას და ჰკვდება როგორც უკანასკნელი მონა, როგორც მძიმე დანაშაული არაბთა ბანაკში!! რისათვის? განა მას არ შეეძლო თავი ეხსნა, გაქცეოდა მტერსა, ეომნა მასთან, ან მოეკლა ის და ან თვით მომკვდარიყო? შეეძლო, მაგრამ არ ინება: მისი გული გამსჭვალული იყო მოძმეთა სიყვარულით, მას არ სურდა აოხრებულიყო ისედაც აოხრებული სამშობლო, მას არ სურდა შეწუხებულიყო უიმისოდაც შეწუხებული არაბებთან ბრძოლის გამო ღონე მიხდილი ხალხი... მან ამჯობინა მტრის გული თვისი სისხლით მოეფხანა, მან საუკეთესოდ სცნო ამ სისხლით დაეკმაყოფილებინა მრისხანე მტერი და ამ სახით თვისი თავი მტლედ დაედო მოძმეთათვის, ზვარაკად შეეწირა მათ საკეთილდღეოდ. განა არ შეეძლო წმ. მეფეს არჩილს მიეღო სჯული მაჰმადისა, შერიგებოდა მტერს და უზრუნველად, უშიშრად ეცხოვრა და მშვიდობით გარდაკვლილიყო სამეფო სარეცელზე თვისს სასახლეში, თვის საყვარელ ცოლის და შვილების თანადასწრებით. არა ეს არ შეეძლო დიდბუნებოვან გვამს, რომლისათვისაც სიტყვა და საქმე ერთია, არ შეეძლო იმიტომ რომ ის ამით შეაგინებდა, წიხლს დაჰკრავდა თვისის სამშობლოს თითქმის ხუთას წლოვან ქრისტიანობას და მრავალ საუკუნოვან წარსულსა, შეაგინებდა წინაპართ საფლავებს და დაგმობდა თვისს ვინაობას, თვისს სვინდისს, თვისს ადამიანობას, თვისს კაცურ-კაცობას, თვისს მეფურ ღირსებას. ეს არ შეეძლო იმიტომ რომ წმ. არჩილი მტკიცე ხასიათის, ცხოველ სარწმუნოების ადამიანი იყო... არ შეეძლო, იმიტომ რომ მას თვისი ქვეშევრდომი ხალხი უყვარდა სულით და გულით, მასთან ერთად ტიროდა და მასთან ერთად მხიარულებდა.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## გამოფენა-კონკურსები მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისა და ბუღლის გაშენებისა დ.დ. ხონში, ლანჩხუთში და დრანდაში.

ქებითი მოწმობები მესამე ხარისხისა.

1) შარანგია, ბარბარე სიმონის ასულს. 1) გოლავა თემურაზს, 3) ხუციევს მღ.-ბლაღოჩინს მ. დავითს. 4) კვა-კუდის სამრევლო სკოლას. 5) ბაღდადის ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლას.

ქებითი მოწმობები მეოთხე ხარისხისა.

1) ჯორბენაძისას—ელისაბედს სიღბისტროს ასულს.

ქებითი მოწმობა მეხუთე ხარის.

1) იმნაძისა—ეფემია სიმონის ასულს. 2) ჯორბენაძისას—ელისაბედს. 3) კნ. შარვაშიძისა ქეთევანს. 4) დავითაიას—პავლეს. 5) ბარკების სამრევლო სკოლას. 6) დიხაცურის სამრევლო სკოლას. 7) გუდაუთის სამრევლო სკოლას. 8) ჭილოვის სამრევლო სკოლას. 9) ცინცაძეს—დიაკვან ესტატეს. (ლანჩხუთში). 10) ქეთევან თოგორიას. 11) ჯორბენაძეს მენიკ თოთრის ასულს. 12) ჟორდანიას ლიდა კონსტანტინეს ასულს. 13) გოგოლაშვილს მარიამ პავლეს ასულს. 14) იმხნელს პამინას.

დამატებითი საჩუქრები.

1) ივანდიდის ერთ-კლასიანს სასწავლებლის მასწავლებელ ქალს ეკატერინე ივანეს ასულს მაჭარაძისას. ბრინჯაოს მენდალი მეიდის წლის მოღვაწეობისათვის და მეაბრეშუმეობის სწავლებისათვის სკოლებში. 2) წილოსანს. მონაზონს მატტას ქებითი მოწმობა ქსოვის სწავლებისათვის.

ბუღლის გაშენებისათვის მიუსაჯეს ბრინჯაოს მენდლები შემდეგ პირებს:

1) დ. ხონში სანაძეს მახეილ ივანეს ძეს. 2) ანტონ ბახტაძეს.

კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებამ განიზრახა წელს კიდევ გამართოს გამოფენა-კონკურსები მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისა და მეფუტკრეობისა სოხუმში და ახალ-სენაკში მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისა—პარკების მოწევის დროს. ხოლო მეფუტკრეობის გამოფენა კი დანიშნულია აგვისტოში ქალაქ ოზურგეთში.

—ძე

## სამკურნალო ცნობა

სიფილისი და მისი წამლობა. მესამე ხანაში სიფილისი ორ გვარია: პირველ გვარი სიფილისისა მოქმედობს სხეულის შიგნით, მეორე გვარი ზედაპირზედ. პირველი აზიანებს გულს, ფილტვებს, ძვლებს და ტვინს. გულს უსიებს, ჭკვრის ანთებას, ღვიძლის საჭმელის რიგიანად მოხარშვას, რის გამო დღით-დღე უსუსტებს მთელ სხეულს და უმოკლებს სიცოცხლეს. ან-

თების ზედ გავლენით ავადმყოფს ეკარგება მადა და გამუდმებით სიცხეშია. თვითონაც არ იცის ავადმყოფმა რა სტკივა და მუდამ ზეზეულად ავადმყოფია. ფილტვები უზიანდება და შემდეგ აუცილებლივ შლექდება. როდესაც სიფილისის შხამი თავში გადადის და ტვინს ეხება, მაშინ დგება მეტად საშიში ხანა სიცოცხლისთვის. გარდა იმისა, რომ ადამიანი ჰკარგავს სხეულის ჯანმრთელობას, ზედ ერთვის სიგიჟე, რომელსაც ვეღარც მკურნალები შველიან, უწამლავს მთელს ტვინს შხამით. იხრწნება დღითი-დღე მთელი სხეული, ეცვლება სახის შეხედულობა, უთეთრდება უდროვოდ თმა, თვალებში სინათლე აკლდება, თვალის ბუდეები უღრმავდება, ცნობის მეხსიერება ეკარგება, სიარული და მოძრაობა უძნელდება; თუმცა ათსში ერთხელ მოუვლის სიგიჟე, მაგრამ ფიზიკური ძალა არ მოსდევს, წამოდგება, უნდა გაიქცეს, მივარდეს ვისმე, მაგრამ სხეულის სისუსტე ნებას არ აძლევს და ისევ ძირს ეცემა სასოწარკვეთილებით.

ამ მდგომარეობაში ავადმყოფმა შეიძლება გასტანოს ორი სამი წელიწადიც, ვიდრე სენი სრულიად დაუვლის ტვინში და სიფილისის შხამით არ აევსება მთელი ტვინი და მერე კი დამბლავდება, აღარ შეუძლია მოძრაობა, ვეღარავის სცნობს, ყოველივე სხეულის ასო ელევა და უპატარავდება, რასაც ბოლოს ულმობელი სიკვდილი მოჰყვება.

ივ. კავთელი.

## ამორჩეული აზრები

გაუფრთხილდი კაპეიკს და მანეთები თვითონ მოვლენ.

—

ქვეყნიერება იმას ეკუთვნის, ვინც მომთმენი და მხნეა.

—

ფულის დაზოგვა მაშინ გვიანდაა, როცა სუყველაფერს გაჰფლანგავ.

—

ჭეშმარიტება სიტყვაში და საქმეში — საფუძველია ხასიათისა.

—

არც მშვიდობიანობას, არც ძალ-დატანებას, არც აჩქარებას ადამიანის კაცად გარდაქმნა არ შეუძლიან, თუ გაწვრთნა არ გამოსცადა.

—

საუკეთესო ხალხი ხშირად უკიდურეს სიღარიბეში სცხოვრობენ, მაგრამ კმაყოფილნი კი არიან იმითაც, რაც აქვთ.

—

სიღარიბე არ ჰბღალავს ადამიანს, მაგრამ თუ კაცი მოწყალებით ცხოვრებას მიეჩვია, მაშინ მისი საქმე წასულია.

## ყურმოკრული საუბარი

— შენი ქორწინება რად ჩაიშალა? მე გაგებული მქონდა, რომ შენ საცოლო გაგიჟებით გიყვარდა!

— ეგ მართალია, მაგრამ მეც სწორედ იმ დროსა ვსთხოვე ხელი ჩემს საცოლოს, როცა გაგიჟებული ვიყავი და ეხლა კი...

— მერე ეხლა?

— ეხლა სიგიჟემ გამიარა და მივატოვე.

## გასართობი

—

სამართლიანი პასუხი. ერთი ქალი, რომელიც ძალიან მოარშიყე იყო ახალგაზდა კაცებისა, შეესწრო საზოგადოებაში, სადაც ნახა ფრიად ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი, რომელსაც თვალი ვეღარ მოაშორა. ყმაწვილი გაბეზრდა და უთხრა:

— ქალბატონო, უკაცრავად კი ნუ ვიქნები და, ისა სჯობიან დედამიწისკენ იცქიროთ, ვიდრე მე მაშტერებდეთ თვალებსაო. აღტაცებაში მოსულმა ქალმა უპასუხა: ძალიან სცდებით ბატონო, დედამიწისკენ თქვენ უნდა იცქიროთ, რადგან უპირველესად მისგან შეთითხნილები თქვენა ხართ და ჩვენ კი თქვენი გვერდიდან ვართ შექმნილნიო.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

25 იანვარი

**პარიზი.** დიუპუიმ და ლებრემ გადასცეს კომისიას მოთხოვნილ დამატებითი საბუთის ქაღალდების ნაწილი, აკლია მხოლოდ სასამართლოს სამის წევრის ჩვენება. კომისია მიღებულ საბუთის ქაღალდების განხილვას შეუდგა.

**მანილია.** ფილიპინელები გუშინ, საღამოთი, მანილიას დაეცნენ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ ამერიკელების მიერ. ამერიკელების მხრივ მოკლულ იქმნა ოცი კაცი, დაჭრილი 125. არ იციან ფილიპინელებში რამდენია მოკლული და დაჭრილი. თოფის სროლა ჯერ არ შეჩერებულა.

**მარსელი.** დილას გამართულ პატრიოტთა ლიგის კრებას სისხლის მღვრელი შედეგი მოჰყვა. დარბაზში მხოლოდ ლიგის წევრები შეუშვეს. ათის ნახევარ საათზე კრების გამმართველთ სცნეს, რომ დარბაზში ხალხი საკმაოდ არის და კარები ჩაკეტეს. მოწინააღმდეგეთ გარეთ სტვენა დაიწყეს. მოულოდნელად ვიღაცამ ორჯერ რევოლვერი გაისროლა, ტყვია ორ გამვლელს მოხვდა და დასჭრა. პოლიციამ ხალხი განდევნა მოედნიდან. ხალხი ძალიან იყო აღელვებული. როდესაც ლიგის წევრები დაიშალნენ, მოწინააღმდეგენი მანიფესტანტებს სტვენითა და ყვირილით მიეგებნენ. ჩხუბი და არეულობა განახლდა. ბევრი დაიჭრა. ჟანდარმები და პოლიცია იძულებული გახდა შეჰბმოდა ხალხს და ბევრი მათგანი შეეპყრო. როშფორი და რეჟი მოვიდნენ $3^1/_4$ საათზე. დელეგაციამ მიართვა მათ ყვავილები. მრავალი ხალხის თანადასწრებით ახლად მისულნი ქალაქში ფეხით გაემართნენ. აქეთ-იქიდან ისმოდა: „გაუმარჯოს როშფორს! გაუმარჯოს „რეჟის“-ო. მასთან საწინააღმდეგო სტვენა და ყვირილიც გაისმოდა, მაგრამ შიში არ გამართლდა და დიდი კონტრ მანიფესტაცია არ მოხდა.

**ნიუ-იორკი.** მანილიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მეამბოხენი იჭერენ ქალაქის ჩრდილოეთ [illegible] სამხრეთ განაპირა ადგილებსა; თვით ქალაქში არავითარი უწესოება არ მომხდარა. ქალები გემებზედ გადაიყვანეს.

**ვაშინგტონი.** მიღებულ იქმნა შემდეგი ოფიციალური დეპეშა: „გუშინ, ღამე მეამბოხეთ ბრძოლა განაახლეს. ბრძოლა დღესაც [illegible] შეწყვეტილა. მეამბოხენი [illegible] ქცეულ იქმნენ: ამერიკელთ [illegible] წაიწიეს და მეტი ადგილი დაიჭირეს“.


## განცხადებანი

**БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА со всѣми ПРИЛОЖЕНІЯМИ: съ пересылкою На ГОДЪ 4 РУБ.

второе изданіе

ПОДПИСНАЯ ЦѢНА со всѣми приложеніями съ пересылкою на три мѣсяца . . 1 р. На мѣсяцъ 35 к.

**БОЛЬШАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ БЕЗЦЕНЗУРНАЯ ГАЗЕТА.**

**ИЛЛЮСТРАЦІИ** на событія дня какъ русской, такъ и иностранной политической и общественной жизни помѣщаются не только въ литературной части воскресныхъ нумеровъ, но и въ самой газетѣ

**ЕЖЕДНЕВНО**

По воскресеньямъ выпускается сверхъ газетнаго листа особое литературное прибавленіе, печатающееся на бѣлой глазированной бумагѣ и составляющее особый еженедѣльный

**безплатный ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ**

Въ предстоящ. году будутъ напечатаны «Колесо Фортуны» романъ Независимаго **I. I. Ясинскаго.** «Въ муромскихъ лѣсахъ» повѣсть Е. А. Саліаса „**письма**“ Н. А. Лѣскова. «**городской голова**» романъ Вас. Ив. Немировича-Данченко „**ЛУЧИ**“ повѣсть К. К. Случевскаго «ТАЛИСМАНЪ» историчес. романъ проф. П. Безобразова.

Самостоятельный въ своихъ сужденіяхъ, чуждый тенденціознаго извращенія фактовъ и безусловно независимый органъ печати. Ярко освѣщая всѣ явленія общественной жизни, имѣя огромную сѣть корреспондентовъ эта газета при всей своей твердости и неуклонности, справедливая и безпристрастная, уже много лѣтъ является несомнѣнно,

*наиболѣе полнымъ*

**выразителемъ нуждъ провинціи.**

Главные отдѣлы газеты, а въ особенности передовой, политической, столичной и провинціальной общественной жизни, фельетона, телеграммъ, корреспонденцій и пр., — по своей полнотѣ и свѣжести совершенно отвѣчаютъ подобнымъ-же отдѣламъ другихъ большихъ столичныхъ газетъ. Въ ней нѣтъ ненужныхъ несвязанныхъ случайныхъ замѣтокъ, а ихъ замѣняетъ

**ЖИВОЕ СЛОВО.**

ГЛАВНАЯ КОНТОРА: С.-Петербургъ, Невскій, 28.

*Въ 1898 Году болѣе 60,000 подписчиковъ.* (6—2)

Открыта подписка на новый еженедѣльный журналъ

**ЗНАМЯ**

**политическій, научный и литературный.**

Первая книжка печатается въ 30,000 экземп.

Главная задача нашего изданія сводится къ обсужденію вопроса объ организаціи труда, объ упроченіи экономическаго быта трудящихся классовъ населенія. ЗНАМЯ выражаетъ увѣренность, что вопросъ о трудѣ есть центральный вопросъ культуры, отъ рѣшенія котораго зависить въ значительной степени наша національная будущность. Трудъ — это главный факторъ культуры и послѣдняя стоитъ на прочной почвѣ, если организація труда въ странѣ отвѣчаетъ требованіямъ христіанской нравственности. „Знамя“ будетъ выходить каждую недѣлю, отдѣльными книжками, до 4 печатныхъ листовъ текста. ПРОГРАММА: **1. Обозрѣніе иностранной и внутренней жизни. II. Вопросы религіозные, и научные. III. Литературная критика. IV Романы повѣсти, разсказы и стихотворенія.** Первая книжка выходящая, 1 декабря высылается лицамъ, желающимъ ознакомиться съ идейной стороной изданія за одну 7 коп марку.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: Съ доставкою на годъ 5 р., $1/2$ года 3 р., $1/4$ года 1 р. 50 к., безъ доставки на годъ 4 р., $1/2$ года 2 р., $1/4$ года 1 рубль.

**Адресъ Редакціи и Конторы:** Москва, Варсонофьевскій п. д. Кн. Гагарина, Телеф. № 600.

Редакторъ *Н. Д. О* ...дательница *А. Д. Пустошкина.* (6 5)